


ერაზმუს+ SmaLog პროექტი

პირველი საორგანიზაციო შეხვედრა



2017 წლის 4-8 დეკემბერს, ერაზმუს+ SmaLog პროექტის ფარგლებში, რომის ტორ ვერგატას უნივერსიტეტში (იტალია) პირველი საორგანიზაციო შეხვედრა გაიმართა, რომელშიც, როგორც პროექტის კონსორციუმის წევრი, მონაწილეობდა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი.

შეხვედრაში მონაწილეობას ღებულობდნენ პროექტში ჩართული უნივერსიტეტები იტალიიდან, გერმანიიდან, პოლონეთიდან, უკრაინიდან და საქართველოდან.

საორგანიზაციო შეხვედრაზე განხილულ იქნა პროექტის სამოქმედო გეგმა და შემდგომი ამოცანები.

პროექტი SmaLog (მაგისტრი ჭკვიან ტრანსპორტსა და ლოგისტიკაში ქალაქებისთვის) ხორციელდება ერაზმუს+ პროგრამის ფარგლებში. პროექტის კოორდინატორია რომის ტორ ვერგატას უნივერსიტეტი (UNIVERSITÀ DEGLI STUDI DI ROMA TOR VERGATA). საქართველოს მხრიდან მონაწილეობს სტუ-ს ლოგისტიკის დეპარტამენტი, ბათუმის საზღვაო აკადემია. პროექტის კონსორციუმის წევრები არიან, ასევე, წამყვანი უნივერსიტეტები უკრაინიდან, იტალიიდან და გერმანიიდან.

პროექტის მიზანია ევროპულ უნივერსიტეტებთან ერთობლივი, ორდიპლომიანი სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების შემუშავება ურბანულ ტრანსპორტში.

პროექტი მოიცავს როგორც ერთობლივი სასწავლო პროგრამის ჩამოყალიბებას, ასევე, ქართულ და უკრაინულ უნივერსიტეტებში ლაბორატორიული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას.

პროექტის ფარგლებში, ასევე, დაგეგმილია მაგისტრანტებისა და აკადემიური პერსონალის მობილობა იტალიის უნივერსიტეტებში.